შპს "ისნის რაიონის №5 მოზრდილთა პოლიკლინიკა

მის: თბილისი, ისნის რაიონი,
ქეთევან წამებულის 57

ტელ: 74 89 28
74 83 57

№2 13.01.2014

ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის უფროსს, **ბ-ნ გიორგი გოგოლაშვილს**,
შპს "ისნის რაიონის №5 მოზრდილთა პოლიკლინიკის"
დირექტორის **ლედი გოგოლაძის** ტელ. 599184422

ასლი: სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ჩვენი პოლიკლინიკის მიმდებარედ შ.პ.ს. „ეფორი" (ს/კ 202217975) მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი 01.17.13.041.019) აპირებს მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის აშენებას და ამ მიზნით თქვენს უწყებაში შემოტანილი აქვს სამშენებლო პროექტი შესათანხმებლად. როგორც ჩვენთვის ცნობილია შ.პ.ს. „ეფორი" აღნიშნულ საცხოვრებელ კორპუსთან მისასვლელ გზად აპირებს გამოიყენოს ქ. წამებულის გამზირის №57-თან არსებული მთავარი გზიდან ჩასასვლელი ჩიხი, რომლის ბოლოშიც მდებარეობს ჩვენი პოლიკლინიკისა და ჩვენს მეზობლად მდებარე ქ.თბილისის №96-ე საჯარო სკოლის მთავარი შესასვლელი. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ჩიხი იმდენად ვიწროა (დაახლოებით 25 მეტრი), რომ სწავლის პერიოდში (განსაკუთრებით სწავლის დაწყებისა და დამთავრების დროს) მუდმივად ჩახერგილია ავტომანქანებით, რაც ასევე იწვევს მოძრაობის შეფერხებას მთავარ გამზირზე. სკოლის მოსწავლეებს ემსახურებათ მიკროავტობუსები, ბავშვებს სკოლაში აკითხავენ მშობლები ავტომანქანებით, ამას ემატება ჩვენი პოლიკლინიკის პაციენტთა ავტოტრანსპორტი და ჩვენს შესასვლელთან არსებული მცირე ზომის ჩიხი ვერ უზრუნველყოფს მათი ავტომობილების გამტარუნარიანობასაც კი, რის გამოც ხშირად მშობლებს და პაციენტებს უწევთ ა/მანქანების გაჩერება მთავარ გამზირზე, სადაც პარკინგი აკრძალულია. მოგეხსენებათ, ქ. წამებულის გამზირი განიხილება სამთავრობო ტრასად, სადაც გადაადგილდებიან ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირთა კორტეჟები, რის გამოც აღნიშნულ გამზირზე არსებობს გარკვეული შეზღუდვებიც. ჩვენ

თავს ვალდებულად ვთვლით გაცნობოთ აღნიშნული პრობლემის შესახებ, რამეთუ შ.პ.ს. „ეფორი-ს" დირექტორს ბ-ნ მუზაფერ გაზიოღლუს ან ამავე კომპანიის მფლობელს ბ-ნ ქემალ გაზიოღლუს ჩვენთან შესათანხმებლად არავითარი მოლაპარაკება არ უწარმოებიათ, მათთან დაკავშირება კი ვერ ხერხდება.

გთხოვთ ყურადღებით შეისწავლოთ აღნიშნული საკითხი, გაითვალისწინოთ ჩვენი ობიექტური შეშფოთება და არ დაუშვათ შ.პ.ს. „ეფორი-ს" საცხოვრებელი კორპუსისათვის მისასვლელ გზად ჩვენი პოლიკლინიკის შესასვლელთან არსებული მცირე ჩიხის გამოყენება, რომელიც ისედაც ძალზედ გადატვირთულია, როგორც ჩვენთან მომსვლელი პაციენტების, ისე ჩვენს მეზობლად მდებარე სკოლასთან მომსვლელი ა/მანქანების, თუ მომიჯნავედ არსებული რესტორნის და საოფისე შენობის პერსონალის და სტუმრების ავტომობილებით.

პატივისცემით

ლ.ჯოგოლაძე

13.01.2014